საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2889-02
16/10/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**“ რექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს N2186-02 ბრძანების, რექტორის 2017 წლის 25 სექტემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“** რექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს **N2186-**02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ N2640-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის №6 და 2017 წლის 7 ოქტომბრის N10 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** 2 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული იქნან **რევაზ გერაძე** და **გიორგი მიხელიძე.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის სკოლა.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი